მწვანე ალტერნატივის შენიშვნები და კომენტარები

შპს "G.MN.C."-ის ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. თაბაგრების მიმდებარედ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და კომპანიის მიერ ორგანიზებული საჯარო განხილვის თაობაზე

4 აპრილი, 2014 წ.

ქვემოთ თავდაპირველად წარმოდგენილია მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები შპს "G.MN.C."-ის მიერ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. თაბაგრების მიმდებარედ დაგეგმილი მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომში - გზშ) ანგარიშის თაობაზე. ეს შენიშვნები და კომენტარები წარედგინა კომპანია "G.MN.C."-ის, იმ განსხვავებით, რომ შენიშვნების პირველ პუნქტში ასევე ინკორპორირებულია საჯარო განხილვასა და დაგეგმილი საწარმოს სავარაუდო ადგილზე კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად გასვლისას გამოვლენილი ზოგიერთი ასპექტი. დოკუმენტის მერე ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის მიერ ჩატარებული საჯარო განხილვისა და ადგილობრივი თემების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად გაწეული ძალისხმევის შესახებ; ეს ინფორმაცია ჩვენი დაკვირვების შედეგებს ასახავს.

I. გზშ ანგარიშის ხარისხი

1. საზოგადოებრივი განხილვისათვის წარმოდგენილი გზშ ანგარიშის უმეტესი ნაწილი წარმოადგენს შპს „ბაჩანა"-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს გზშ ანგარიშის კოპირებულ ასლს. გზშ ანგარიშში მხოლოდ ადგილმდებარეობების სახელწოდებებია შეცვლილი. ასეთი თავებია 1, 2, 7, 10, 11 - სრულად გადმოწერილი, ასევე შემდეგი ქვეთავები: 3.2.1; 3.2.3; 3.2.5; 3.2.6; 3.3.3; 4; 4.4; 5.2.2; 5.2.4; 5.2.5; 5.3.1; 5.3.4; 5.3.5; 5.3.6; 5.3.7; 5.3.8; 5.3.11; 5.3.12; 5.3.14; 6.1.

საჯარო განხილვისთვის წარდგენილი გზშ ანგარიშის გაცნობის შემდეგ, ნათელია, რომ სამწუხაროდ, პროექტის ავტორებს არ გაუწევიათ მნიშვნელოვანი ძალისხმევა კონკრეტულ პროექტთან მიმართებაში აუცილებელი კვლევების ჩასატარებლად. გზშ ანგარიშში არსებული სიატუაცია მიმოხილულია ჭიათურის მუნიციპალეტეტის მასშტაბით; ხოლო, თუ რა ზეგავლენა ექნება პროექტის განხორციელებას ადგილობრივ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე არ არის შეფასებული; არ არის შეფასებული ზეგავლენის მნიშვნელობა, მასშტაბები და შესაბამისად, არ არის დადგენილი ადეკვატური ზეგავლენის შემარბილებელი ღონისძიებები.

ზემოაღნიშნული ლოგიკურია იმის გათვალისწინებით, რომ გზშ ანგარიშში საერთოდ არ არის აღწერილი, მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი საწარმოო პროცესები, რომლებიც მხოლოდ საჯარო განხილვაზე და კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად საპროექტო ტერიტორიად შერჩეულ ადგილზე გასვლისას გამოვლინდა.

საჯარო განხილვაზე გაირკვა, რომ ტერიტორია, სადაც საწარმოს მშენებლობა იგეგმება, მდებარეობს მდინარის ხეობაში, რომელსაც საავტობობილო გზა მიუყვება. მას ერთი მხრიდან ესაზღვრება კლდე, რომლის სიმაღლეც დაახლოებით 40 მეტრია. როგორც ადგილზე გაირკვა, აღნიშნული კლდიდან, ტრანსპორტირების ხარჯის შემცირების მიზნით, უწინ ხდებოდა მანგანუმის გადმოყრა ბადის ან რაიმე სხვა ტექნოლოგიის და დამცავი საშუალების გარეშე; დღესაც, ადგილზე დათვალიერებისას, ასეთი პრაქტიკის შედეგები იოლად შესაჩნევია. როგორც აღმოჩნდა, შპს "G.MN.C"-იც სწორედ ამ პრაქტიკის გამოყენებას აპირებს თავისი საქმიანობის განხორციელებისას. კომპანია "G.MN.C"-ი ირწმუნება, რომ მანგანუმის მადნის კლდიდან გადმოყრით, შემცირდება მადნის ტრანსპორტირებით გამოწვეული ზეგავლენა იმ სოფლების მოსახლეობაზე, რომელთა გავლაც მოუხდებოდა მადნით დატვირთულ სატვირთო ავტომანქანებს.

ჩვენი აზრით, მადნის გადმოყრა კლდიდან ყოვლად მიუღებელი პრაქტიკაა! ღრმა ანალიზის გარეშეც კი, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, ასეთი პრაქტიკა, სულ მცირე, გამოიწვევს არამარტო ნიადაგის/ტერიტორიის და ჰაერის მნიშვნელოვან დაბინძურებას, არამედ მდინარის დაბინძურებასაც, რომელიც კლდესთან უშუალო სიახლოვეს მიედინება, ასევე, მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას იქონიებს საწარმოში დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე.

საჯარო განხილვის მსვლელობისას ნათელი გახდა ასევე, რომ კომპანია არ არის ჩამოყალიბებული ნედლეულის წყაროებთან დაკავშირებით (რასაც, ბუნებრივია, პირდაპირი ზეგავლენა აქვს დაგეგმილი საქმიანობის ზემოქმედების სახეებზე, მასშტაბებზე და ა.შ.): კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კომპანია ნედლეულის მარტვილის მუნიციპალიტეტიდან ტრანსპორტირებას გეგმავს, თუმცა, მათ ვერ დაუზუსტეს, რა რაოდენობის ნედლეულის ტრანსპორტირება მოხდება მარტვილიდან. ნედლეულის სხვა წყაროდ კომპანია განიხილავს კომპანია „ჭიათურმანგანუმის" მიერ მოპოვებულ მადანს (თუ „ჭიათურმანგანუმის" სალიცენზიო ტერიტორიაზე მის მიერ მოპოვებულ მადანს), თუმცა, ამ საკითხზეც, როგორც აღმოჩნდა, კომპანია არ არის ნათლად ჩამოყალიბებული. ყურადსაღებია, რომ ზოგადად, როგორც საჯარო განხილვაზე გამოჩნდა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლები არ მიესალმებიან ასეთი სახის საწარმოების მომრავლებას მუნიციპალიტეტში. ისინი აღნიშნავდნენ, რომ მანგანუმის მოპოვებითა და გადამუშავებით გამოწვეული შედეგები მოსახლეობის სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს.

საგულისხმოა, ასევე, რომ საჯარო განხილვის შემდეგ დაგეგმილი საწარმოს სავარაუდო განთავსების ადგილზე გასვლისას, ნათელი გახდა, რომ "G.MN.C"-ის მიერ გზშ-ს ჩასატარებლად და ანგარიშის მოსამზადებლად დაქირავებული შპს „გამა კონსალტინგის" წარმომადგენლები პირველად იმყოფებოდნენ ამ ტერიტორიაზე (ეს ჩანდა ასევე განხილვის მსვლელობისას). „გამა კონსალტინგის" წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თანამშრომელი(!), რომელმაც გზშ ანგარიში მოამზადა, კომპანია დატოვა და სწორედ ამიტომ არ ფლობდნენ ინფორმაციის და არ იცნობდნენ საპროექტო ტერიტორიას.

2. გზშ ანგარიშიდან არ არის ნათელი, რა მიზანს ემსახურება პროექტი და რა კონკრეტულ სარგებელს მოუტანს მისი განხორციელება ქვეყანას, რეგიონს, პროექტის უშუალო სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობას (პროექტის სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენა საერთოდ არ არის შეფასებული). ეს ინფორმაცია აუცილებელია იმისათვის, რომ საზოგადოებამ და გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უკეთ შეაფასონ, რამდენად ღირებულია საწარმოს მშენებლობა, იმ უარყოფითი შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა მოჰყვეს პროექტს.

3. გზშ ანგარიშის მე-4 თავში „ალტერნატივების ანალიზი", განხილულია არაქმედების, საწარმოს განთავსების და ტექნოლოგიური ალტერნატივები. თუმცა, ჩამოთვლილი ალტერნატივები ნათლად არაა

წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ განხილულია ადგილმდებარეობის ალტერნატივები, დოკუმენტში არაა განხილული, თითოეულ შემთხვევაში რა ზეგავლენა იქნება გარემოზე, აქედან გამომდინარე, ბუნდოვანია, რატომ მიენიჭა მესამე ალტერნატივას პრივილეგია.

გზშ კანონმდებლობის მიხედვით, ანგარიშში წარმოდგენილი ქვეთავი, „ალტერნატივები“ ასევე უნდა მოიცავდეს ტექნოლოგიურ ალტერნატივებს, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში მსგავსი სათაურის ქვეთავი მოცემულია, იგი ნამდვილად არ ასახავს ინფორმაციას ტექნოლოგიური ალტერნატივების შესახებ. მოცემულ ქვეთავში სრულიად სხვა საკითხებია განხილული.

4. იმ ფაქტს, რომ კვლევები გზშ ანგარიშში ფორმალურადაა მოცემული, არაერთი მაგალითი ადასტურებს. ქვეთავი 5.3.4 ბუნებრივი რადიაციული ფონი სულ რაღაც ორი წინადადებითაა წარმოდგენილი და ნათქვამია, რომ *„რეგიონისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი რადიაციული ფონი შეადგენს 8-15 მკრ/სთ და უკანასკნელ წლებში გამოირჩევა სტაბილურობით. საკვლევ ტერიტორიის ეკოლოგიური აუდიტის დროს უკონტროლო რადიოაქტიური წყაროები და რადიოაქტიური დაბინძურება არ გამოვლენილა*“. დოკუმენტში არ არის რაიმე სხვა სახის ინფორმაცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რის საფუძველზე დაყრდნობითაა წარმოდგენილი მოცემული დასკვნა? და ა. შ.

იგივე შეიძლება ითქვას, 5.3.9 ქვეთავთან დაკავშირებით - „სეისმური პირობები“. აღნიშნული საკითხიც ორი წინადადებით შემოიფარგლება და ნათქვამია, რომ *„საწარმოს მშენებლობისათვის შერჩეული ტერიტორია მდებარეობს 8 ბალიან სეისმურ ზონაში...“.* ამასთან, გზშ ანგარიშში არაფერია ნათქვამი რამდენი ბალი იქნა მიღებული საპროექტო გადაწყვეტად და რა გავლენას მოახდენს განმახორციელებლის მიერ მიღებული სეისმურობა საპროექტო გადაწყვეტაზე.

ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმაციის ამ სახით წარმოდგენა ნაკლებად სასარგებლოა დოკუმენტის ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციისა და კონსულტაციისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ საქმიანობაზე ნებართვის გაცემისათვის გადაწყვეტილების მიღებაზე.

5. 5.3.13 ქვეთავი „ბიომრავალფეროვნება“ გზშ ანგარიშის ერთ-ერთ უსუსტეს ნაწილს წარმოადგენს, ის სულ რაღაც ნახევარ გვერდს მოიცავს. გზშ ანგარიშში ჩამოთვლილი ფლორისა და ფაუნის სახეობები მოცემულია ლათინური სახელწოდებების გარეშე. დოკუმენტში საერთოდ არაა მოცემული წითელი ნუსხისა და ენდემური სახეობები.

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოო დანიშნულებისათვის ტექნიკური წყლის აღება მოხდება მდ. თაბაგრის ღელედან, დოკუმეტში განხილული უნდა იყოს ამ მდინარეში გავრცელებული იხტიოფაუნა, მასზე შესაძლო ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები; გზშ ანგარიშში კი, მოცემული საკითხიც ასევე, ზერელედ და არასრულფასოვნადაა მომზადებული. უბრალოდ ნათქვამია, რომ გავრცელებულია *„მდინარეებში: წვერა, ქაშაპი, ღორჯო, მდინარეთა ზემო ნაწილებში - კალმახი“.* ასევე არაა დაზუტებული რომელ მდინარეებზე საუბრობს ანგარიშის ავტორი. თაბაგრის ღელესთან დაკავშირებით კი, აღნიშნულია, რომ *„მდ. თაბაგრის ღელე მცირე დებიტიანია და შესაბამისად <u>სხვადასხვა სახეობის თევზებისათვის</u> მნიშვნელოვან საარსებო გარემოს არ წარმოადგენს*“. თუმცა, რაზე დაყროდნობითაა აღინიშნული დასკვნა მოცემული, ასევე არ არის განხილული გზშ დოკუმენტში.

6. ანგარიშის 6.3.3 ქვეთავში კუმულაციური ზემოქმედება, ნათქვამია: *„გამომდინარე იქიდან, რომ „G.MN.C.“ - ს მანგანუმის გამამდიდრებელის საწარმოს ტერიტორიის მომიჯნავედ მსგავსი პროფილის საწარმოები განთავსებული არ არის, კუმულაციური ზემოქმედება ნაკლებადაა მოსალოდნელია“.* იმის

გათვალისწინებით, რომ რეგიონში სხვა მსგავსი ტიპის საწარმოები განთავსებულია და ასევე დაგეგმილია კიდევ ერთი მინი გამამდიდრებელი საწარმოს მშენებლობა, მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი აუცილებლად უნდა იყოს გზშ ანგარიშში წარმოდგენილი.

7. რაც შეეხება დასაქმებას და მასთან დაკავშირებულ ზემოქმედებას, აღნიშნულ საკითხს ვხვდებით 3.2.2 და 4.1 ქვეთავებში. დოკუმენტის 4.1 ქვეთავში, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, დასახელებულ პოზიტიურ შედეგებს შორის დასახელებულია: *„დროებითი და მუდმივი სამუშო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება“.* ასევე მე-12-ე გვერდზე, აღნიშნულია, რომ *„მშენებლობის ეტაპზე დასაქმებულთა რაოდენობა მიახლოებით 40-50 კაცი იქნება“*. ეს ინფორმაცია მეტად ზედაპირულია და არ ხდის ნათელს, იღებს, თუ არა კომპანია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ვალდებულებას და თუ იღებს, რამდენი იქნება ადგილობრივთა წილი დასაქმებულთა შორის.

8. 5.2.5 ქვეთავი „კულტურული მემკვიდრეობა“ ასევე მეტად ზედაპირულადაა წარმოდგენილი გზშ ანგარიშში. დოკუმენტში საერთოდ არ არის განხილული ბონდის მღვიმე, რომელიც ასევე თაბაგრის ღელის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს.

9. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები მეტად არასრულყოფილადაა წარმოდგენილი. დოკუმენტში მითითებულია მხოლოდ მყარი ნარჩენების განთავსების ადგილები. სახიფათო ნარჩენებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ გადაეცემათ შესაბამის პასუხისმგებელ პირებს. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს გზშ ანგარიშის სხვადასხვა ნაწილში ვხვდებით. გვ 16 მოცემულია, რომ „საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილი იქნება დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის მიერ, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე“. თუმცა, ვინ არის პასუხისმგებელი პირი, სად და როგორ მოხდება ამ სახის ნარჩენების საბოლოო განთავსება - გაუგებარია. აღნიშნული საკითხი, ასევე მე-10 ქვეთავშიც არ არის სრულყოფილად მოცემული.

ანგარიშის თანახმად, მოხდება შუალედური პროდუქტის, კუდებისა და შლამის გამოყენება მანგანუმის მადნის გამონამუშევარი კარიერების რეკულტივაციისათვის. ანგარიშის ზოგიერთ ნაწილში მითითებულია, შლამის განთავსება მოხდება ე.წ. „ღურღუმელა“-ს შლამსაცავის ტერიტორიაზე (გვ. 91). პირველ რიგში, ანგარიშიდან გაუგებარია, რა სამართლებრივი საფუძვლები გააჩნია კომპანიას სოფ. მღვიმევის, სოფ. რგანის და სოფ. ზედა რგანის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული კარიერებიდან წიაღით სარგებლობისა და შემდგომში წარმოების ნარჩენების კარიერზე განთავსებისათვის. გარდა ამისა, გაუგებარია, საბოლოოდ სად ხდება შლამის განთავსება, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ფაქტზე, რომ არცერთ შემთხვევაში არ არის განხილული ზემოქმედება გარემოზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ გადაიხედოს საწარმოო ნარჩენების საბოლოო განთავსების ადგილები, პირობები და გამოვლინდეს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უფრო მისაღები ვარიანტები. საჭიროა ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და დეტალური გაწერა.

ვინაიდან ქვეთავების მცირე რაოდენობა, რომელიც უშუალოდ ამ პროექტისათვისაა (სხვადასხვა გზშ დოკუმენტებიდან გადმოწერის გარეშე) მომზადებული მეტად ზედაპირულია, მიგვაჩნია, რომ ამ გზშ ანგარიშის წარმოდგენილი სახით ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის / გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად წარდგენა, ყოვლად დაუშვებელია.

II. შპს „G.MN.C”-ის მიერ ჩატარებული გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა

2014 წლის 26 მარტს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში ჩატარდა დაგეგმილი პროექტის გზშ ანგარიშის განხილვა. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: "G.MN.C."-ის, მის მიერ დაქირავებული საკონსულტაციო კომპანია „გამა კონსალტინგის", გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლები.

2014 წ. 26 მარტს ჩატარებული საჯარო განხილვა ატარებდა მეტად ფორმალურ ხასიათს. განხილვის მსვლელობისას კომპანიის წარმომადგენლებმა ვერ გასცეს ამომწურავი პასუხები დასმულ შეკითხვებს. ამასთან, ნათელი იყო ისიც, რომ კომპანიის წარმომადგენლებს საერთოდ არ გაუწევიათ ძალისხმევა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად; მოსახლეობამ დაგეგმილი საქმიანობის და საჯარო განხილვის შესახებ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლებისგან შეიტყო. ინფორმაციას არ ფლობდნენ აგრეთვე ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებიც.

ამ დაგეგმილი საქმიანობის/პროექტის შემთხვევაში, ისევე როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ამ დრომდე ნებადართული ყველა სხვა პროექტის შემთხვევაში, ცხადია, რომ კანონმდებლობით საზოგადოების, განსაკუთრებით, დაგეგმილი პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანების/თემების ინფორმირებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები არაეფექტურია. ამასთან, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული დებულებები არ უზრუნველყოფს საქართველოს მიერ „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" ორჰუსის კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულებას.